

**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის
საბჭოს სხდომის ოქმი №12**

ქ. თბილისი

30.08.2016

**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში საბჭო)
წევრები:**

ირინა ხანთაძე - ა(ა)იპ - კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე; სხდომის თავმჯდომარე;
თამარ ფხალაძე - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის წამყვანი სპეციალისტი, საბჭოს მდივანი;
გიორგი გიგზებერია - სსიპ ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი;
რევაზ აფხაზავა - ა(ა)იპ - კავშირი განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის (EPPM) აღმასრულებელი დირექტორი;
მარინა უშვერიძე - PH International სამოქალაქო განათლების პროგრამების ხელმძღვანელი;
ხათუნა ბარაბაძე - სსიპ - თბილისის პირველი ექსპერიმენტული სკოლის დირექტორი.

**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი)
თანამშრომლები:**

ლაშა მარგიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ლევან მადათოვი - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსი;
ნინო გაგელიძე - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს კოორდინატორი;
თამარ შენგელია - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს სპეციალისტი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

ნუგზარ ეხვია - შპს ინტელექტთან არსებული ქ. წნორის კერძო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა ლიცეუმის დირექტორი;
ვლასი ჯიბლაძე - შპს სკოლა ფენიქსის აღმასრულებელი დირექტორი;
რუსუდან ციციშვილი - შპს სკოლა ფენიქსის დამფუძნებელი, დირექტორი;
გულნარა კვიციანი - სკოლა თამარიონის დირექტორი;
ქეთევან ხაბულიანი - სკოლა თამარიონის სასწავლო ნაწილის გამგე;
თამარ გურგენიძე - სკოლა თამარიონის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი;
ნათია ქაჯაია - შპს გრაალის იურისტი;
ზაზა სახელაშვილი - შპს გრაალის დირექტორის მოადგილე სასწავლო აღმზრდელობით დარგში;
ნუნუ ავაგუმაშვილი - შპს ნუნუ ავაგუმაშვილის დირექტორი;
თამარ იმედაძე - შპს ნუნუ ავაგუმაშვილის სასწავლო ნაწილის გამგე;
თეა აბუთიძე - შპს ნუნუ ავაგუმაშვილის მოადგილე საორგანიზაციო ნაწილში;

მაყვალა გოგიტიძე - შპს მეგასკოლის დირექტორი;
ქეთევან დოლიძე - შპს არასახელმწიფო საერო ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა მერმისის დირექტორი;
მანანა მალაზონია - შპს არასახელმწიფო საერო ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა მერმისის დირექტორის მოადგილე;
ლალი ვაშაკიძე - შპს არასახელმწიფო საერო ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა მერმისის დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში;
ნატო კოპალეიშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა მიტროპოლიტ ნაზარი ლეჟავას სახელობის სამტრედიის მართლმადიდებლური სკოლის დირექტორი;
ეკა კოპალეიშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა მიტროპოლიტ ნაზარი ლეჟავას სახელობის სამტრედიის მართლმადიდებლური სკოლის დირექტორის მოადგილე;

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):

ნელი ნასყიდაშვილი;
ვერა ყურულაშვილი;
ვიქტორია უშანგიშვილი;
ნანა ბარნაბიშვილი;
იანინა გიგიბერია;
ქეთევან ბოტკოველი;
დარეჯან ლორთქიფანიძე;
თეა შაყულაშვილი;
ცირა ნიკოლაშვილი;
ავთანდილ აბდუშელიშვილი;
ნატო გაბოშვილი;
ნინო ბალანჩივაძე;
ნინო ვარდოსანიძე;
მაკა ტუკვაძე;
ია ფირანიშვილი - გიგიბერია.

საბჭოს სხდომა დაიწყო 14:22 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. მდივანმა საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს ინტელექტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს სკოლა ფენიქსის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს თამარიონის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. შპს გრაალის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. შპს არასახელმწიფო საერო საშუალო სკოლა ათინათის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. შპს ნუნუ ავაგუმაშვილის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. შპს მეგასკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
8. შპს არასახელმწიფო საერო ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა მერმისის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
9. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა მიტროპოლიტ ნაზარი ლეჟავას სახელობის სამტრედიის მართლმადიდებლური სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ დაფიქსირდა, შესაბამისად საბჭოს წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

1. შპს ინტელექტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისათვის როგორც მისი განუყოფელი ნაწილი. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინეს ნელი ნასყიდაშვილმა და ვერა ყურულაშვილმა.

საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

- საბაზო - საშუალო საფეხურზე სპორტის სამი სახეობის ნაცვლად სკოლას არჩეული ჰქონდა ორი სახეობა: ჭადრაკი და ფრენბურთი. როგორც გადმოგზავნილი მასალებიდან ირკვეოდა სპორტის სწავლების ყველა პროგრამა იყო დასახვეწი, რადგან არ იყო საგნობრივი სტანდარტის წლის ბოლოს მისაღწევი შედეგების მიღწევაზე ორიენტირებული.
- არ იყო ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებზე დაყრდნობით შემუშავებული საგნობრივი სასწავლო პროგრამები სხვა და სხვა საგნებში. მაგ: პედაგოგი დალი ბაკაშვილი, რომელიც მე-3 კლასში ასწავლიდა მათემატიკას, ბუნებისმეტყველებასა და ქართულს და ამავე დროს იყო დაწყებითების კათედრის თავმჯდომარე, როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციით და გასაუბრებით გაირკვა, არ იცნობდა სტანდარტს. მის მიერ შემუშავებულ (გადმოგზავნილი იყო ელექტრონულადაც) სასწავლო პროგრამებში იკითხებოდა: ქართული ენა და ლიტერატურა: „რა შედეგზე უნდა გავიდე პირველი სემესტრის ბოლოს: წუთში უნდა კითხულობდნენ 40-50 სიტყვას, წაკითხვის დროს უნდა შეძლონ სათანადო ინტონაციით კითხვა, უნდა შეძლონ ლოგიკური თანმიმდევრობით თხრობა, კითხვებზე სრული პასუხის გაცემა, მარტივი წინადადებების წერა, დამოუკიდებლად გრამატიკული სავარჯიშოების გადაწყვეტა.“ მათემატიკა: „უნდა იცოდნენ 1000-ის ფარგლებში წერითი და ზეპირი ნუმერაცია, სამნიშნა რიცხვების ჯამის სახით წარმოდგენა, წერითი გამოთვლები, საათის ცოდნა, კალენდრის მოხმარება, კანონზომიერებები, 2-3 კითხვიანი ამოცანების ამოხსნა, გეომეტრიული ფიგურების კითხვა, ლათინური ასოების გამოყენება“. ანალოგიური მდგომარეობა გახლდათ ბუნებისმეტყველებაში, როდესაც ჰკითხეს მასწავლებელს, თუ რის საფუძველზე იწერებოდა სემესტრის და წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები, მისი პასუხი იყო: „ძველ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით“ - რასაც ადასტურებდა ჩანაწერიც.
- ანალოგიური პრობლემა იკვეთებოდა პირველ, მეორე და მეოთხე კლასებში შემსვლელ მასწავლებლებთანაც, მათთან გასაუბრება ვერ მოხერხდა, განმავითარებელი შეფასების რაიმე დამადასტურებელი დოკუმენტაცია სკოლას არ წარმოუდგენია. არც გასაუბრებისას გამოიკვეთა მასწავლებლების მიერ შემუშავებული მიდგომები. ორ

ადგილას შეხვდნენ მოსწავლის დახასიათებებს: ერთი იყო მოსწავლეთა პირად საქმეებში, სადაც მხოლოდ შემაჯამებელი წერილობითი შეფასებები იყო გაკეთებული და ტესტებში მიღებულ შეფასებებზე იყო გამახვილებული ყურადღება (დანართი 1-7 ფურცლად) და მეორე, წლის დამამთავრებელ ფურცელში, სადაც არ ჩანდა, რომ მასწავლებელმა საკუთარი და სხვა მასწავლებლისაგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დაახასიათა მოსწავლე (დანართი 2-4 ფურცლად).

- მოსწავლეები წერდნენ 5-7-7 საკონტროლო წერას და სასწავლო წლის დამამთავრებელ შემაჯამებელ ტესტირებას, რომელთა შეფასება ხდებოდა შემდეგი სიტყვებით: „სუსტი ნამუშევარი 55-დან 15 შეცდომა“, „საშუალო ნამუშევარი 27-დან 5 შეცდომა“ და ა.შ. განმავითარებელი შეფასების განხორციელების დამადასტურებელი არანაირი დოკუმენტი მასწავლებლებს არ წარმოუდგენიათ და არც გასაუბრებისას დაუდასტურებიათ მისი განხორციელების მიდგომების შესახებ ცოდნა/გამოცდილება.
- სკოლაში იყო 5 საგნობრივი კათედრა: მათემატიკის, სპორტისა და ესთეტიკური აღზრდის, უცხოური ენების, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, საზოგადოებრივ მეცნიერებებისა და დაწყებითი საფეხურის. კათედრა აწარმოებდა სკოლის საგნობრივი კათედრის სამუშაო ჟურნალს, რომელშიც იყო ინფორმაცია კლასში ჩასატარებელი სასწავლო - სააღმზრდელო აქტივობების თარიღების, მასწავლებელთა ურთიერთშეფასებების, კათედრის სხდომების ოქმების შესახებ.

ეროვნული სასწავლო გეგმის მე-16 მუხლის დ) პუნქტის მიხედვით : „თითოეული მასწავლებელი ვალდებულია, შეაგროვოს და შეინახოს მის მიერ კლასში ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. აღნიშნულ დოკუმენტაციაში წარმოდგენილი უნდა იყოს: სტანდარტის ის შედეგი/შედეგები, რომლის შეფასებასაც ემსახურებოდა კონკრეტული შემაჯამებელი დავალება; კრიტერიუმები, რომლითაც შეფასდა ეს დავალებები; მოსწავლეების მიერ შესრულებული და მასწავლებლის მიერ შეფასებული სამუშაოს რამდენიმე ნიმუში ან შესრულებული სამუშაოს ამსახველი ვიზუალური მასალა; თითოეული კლასის მოსწავლეთა მიერ მიღებული ქულები“. მასწავლებელთა ეს ვალდებულება სასკოლო სასწავლო გეგმაშიც იყო ასახული, მაგრამ არცერთი მასწავლებლის მიერ არ იყო განხორციელებული. რამდენიმე მასწავლებელთან გასაუბრებისას დაზუსტდა ინფორმაცია სკოლაში მიმდინარე სასწავლო პროცესის შესახებ. სურათი გახლდათ შემდეგნაირი :

ქიმია-ბიოლოგიის მასწავლებელი - ნინო ბეგიაშვილი, რომელსაც რეალურად ჰქონდა სწავლებაში კვლევა-ექსპერიმენტების დაგეგმვა/ჩატარება VIII კლასში ქიმია-ბიოლოგიის, IX, X, XI კლასებში ქიმიის გაკვეთილებზე განხორციელებული. გაკვეთილის დაგეგმვის სცენარები, სადაც აქტივობებში ხშირად იყო ექსპერიმენტის ჩატარება, მოსწავლის რვეულები ცალკე ექსპერიმენტებისათვის. ასწავლიდა VII კლასში საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საფუძვლებს და ფიზიკაშიც იყო მის მიერ შემუშავებული თემატიკა (ერთი ცალკე საქაღალდე მხოლოდ ამაზე იყო ნაწარმოები) და სასწავლო მასალა. ყოველი მოსწავლე აწარმოებდა საქაღალდეს, სადაც მის მიერ ჩატარებული ექსპერიმენტების დამადასტურებელი სხვადასხვა დოკუმენტაცია იდო, მათ შორის ვიდეომასალაც (დისკის სახით) : 15 ექსპერიმენტი ჰქონდა 14 მოსწავლიდან თითოეულს დაგეგმილი და განხორციელებული, გაფორმებული ჩანაწერებით. მასწავლებელს შედგენილი ჰქონდა თემატური გეგმა შედეგებზე და დროში გაწერილი რესურსების მითითებით. ჰქონდა

შეფასების ზოგადი რუბრიკები და გაცნობილი მშობლებისათვისაც მშობელთა კრებაზე, მაგრამ კონკრეტული შეფასების სქემები არ იყო შემუშავებული.

ქართულ ენასა და ლიტერატურას - ჟუჟუნა ჭაბაშვილი ასწავლიდა V, VIII, IX, XI კლასებში. არ ჰქონდა შემუშავებული შემაჯამებელი დავალებების შეფასების კრიტერიუმები, ამიტომაც იყო მოსწავლის რვეულში შეფასება : „10-“, „9-“, და ა. შ. არ იყო ერ. სასწ. გეგმის სტანდარტებზე დაყრდნობით საგნის სწავლების პრინციპები დაცული, თემების გავლაზე და შემაჯამებლებში ტექსტის დამახსოვრება/დაწერაზე ორიენტირებული თხზულებების წერა და ტესტების ფორმა იყო წარმოდგენილი შემაჯამებლებში მხოლოდ.

ბიოლოგიას - ხათუნა გველუკაშვილი ასწავლიდა VI კლასში (ბუნებისმეტყველებას) და X კლასში ბიოლოგიას. ჰქონდა მხოლოდ წლის ბოლოს ყველა შემაჯამებელზე ერთ გვერდზე გაკეთებული ჩანაწერი, 2015-2016 სასწ. წლის თემატურ-კალენდარული გეგმები სტანდარტზე დაყრდნობით შემუშავებული -- მეორე ბიოლოგიის მასწავლებელი იყო V, IX და XI კლასებში - თინათინ პაპიაშვილი, რომელსაც ანალოგიურად ჰქონდა შემუშავებული თემატური. მოსწავლის შეფასების მიდგომებზე საუბრისას არ ახსენა შეფასების კრიტერიუმებს.

განმავითარებელი შეფასების მიზნობრივ გამოყენებაზე საუბრობდა ინგლისური ენის მასწავლებელი I, V, VII კლასებში - ქეთევან ბიკაშვილი, თუმცა შეფასების კრიტერიუმები არ ჰქონდა შემუშავებული თითოეულ შემაჯამებელზე.

სკოლა ატარებდა წლის ბოლოს გამოცდებს : VII კლასში 4 საგანში : ქართული, მათემატიკა, ინგლისური, ისტორია, VIII, IX და X კლასებში - 7 საგანში : ქართული, მათემატიკა, ინგლისური, ისტორია, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, რაც ეწინააღმდეგებოდა ეროვნულ სასწავლო გეგმას.

- სკოლას შემუშავებული ჰქონდა მოსწავლის შეფასების, კლასიდან კლასში და საფეხურიდან საფეხურზე გადასვლის მინიმალური ბარიერი. სკოლას შემუშავებული ჰქონდა შეფასების კრიტერიუმების გამჭვირვალობის უზრუნველყოფის 2 საკითხიანი დოკუმენტი : 1) სასწავლო წლის დასაწყისში კლასის დამრიგებლები და კონკრეტული საგნის მასწავლებლები აცნობდნენ მოსწავლეებსა და მათ მშობლებს სკოლის მიერ შემუშავებულ შეფასების კრიტერიუმებს; 2) საკლასო ოთახებში სპეციალურ დაფებზე მთელი წლის მანძილზე გაკრული იქნებოდა შეფასების სისტემის ყველა კომპონენტის რუბრიკები. სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით I – IV კლასებში ქულებით შეფასება არ ხდებოდა. კლასის დამრიგებლებს მისი და სხვა მასწავლებლებისაგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე უნდა დაეწერათ მოსწავლის დახასიათება, სადაც აღნიშნული იქნებოდა მოსწავლის ძლიერი მხარეები და ხარვეზების გამოსწორების რეკომენდაციები. ეს გახლდათ ამონაწერი სასკოლო სასწავლო გეგმიდან, თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და გასაუბრებით პროცესში არ იწერებოდა, არც შეფასების რუბრიკები იყო გამოკრული კლასებში.

- მშობელთა ინფორმირების წესი და პროცედურები გაწერილი იყო კლასის დამრიგებლის მოვალეობებში. სკოლას შემუშავებული ჰქონდა კლასის დამრიგებლის მშობელთან ინდივიდუალური შეხვედრის მოკლე აღწერის ფორმა. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდებოდა მშობლის ინფორმირების პროცედურის დანერგვა სკოლაში. შინაგანაწესის მიხედვით სკოლის სტრუქტურული ერთეული იყო მშობელთა კომიტეტი, რომლის არჩევაც ხდებოდა ყოველი კლასის მშობელთა კომიტეტის

1. სკოლა

წარმომადგენლებისაგან. წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ ადასტურებდა შესაბამისი სტრუქტურის ფუნქციონირებას სკოლაში.

მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

- შპს ინტელექტს შპს „ტექნიკური სპეციალისტების მომზადების ცენტრისაგან“ იჯარით აღებული ჰქონდა არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მხოლოდ 400კვ. მ ფართზე არსებული შენობის I-ლი და II სართული, რაც დასტურდებოდა საჯარო რეესტრიდან ამონაწერითაც. თუმცა სკოლა სარგებლობდა სხვა შენობებში განთავსებული სპორტული დარბაზით, ბიბლიოთეკით, სამედიცინო ოთახითა და სველი წერტილებით, რომლითაც სარგებლობის უფლება არც ხელშეკრულებით და არც საჯარო რეესტრის ამონაწერით არ დასტურდებოდა.
- სკოლა განთავსებული იყო 2 სართულიან შენობაში. პირველ სართულზე 3 ოთახში განთავსებული იყო მეიჯარის წარმომადგენლობა (რომელიც ყოველდღე მუშაობდა), სამასწავლებლო და 6 საკლასო ოთახი. მეორე სართულზე 6 საკლასო ოთახი და დირექციის კაბინეტი. სულ საკლასო ოთახების რაოდენობა შეადგენდა 12, რომლებიც აღჭურვილი იყო 158 ცალი მოსწავლის მერხითა (მათ შორის 66 ინდივიდუალური და 92 ორადგილიანი) და 181 ცალი სკამით. საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და ისტორიის კაბინეტები გამჭოლ ოთახებში იყო განთავსებული. ამ მერხების რაოდენობაში შედიოდა შპს „ტექნიკური სპეციალისტების მომზადების ცენტრის“ კაბინეტში განთავსებული 11 მერხიც თავისი სკამებით, რომლით სარგებლობის უფლებას სკოლას არანაირი ხელშეკრულება არ უდასტურებდა. ეზოში დამატებითი შენობებში განთავსებული იყო სპორტული დარბაზი, ბიბლიოთეკა და სამედიცინო დახმარების ოთახი. მეორე შენობა - ნაგებობით სარგებლობის უფლება არ დასტურდებოდა არც მოიჯარის ხელშეკრულებით და არც საჯარო რეესტრის ამონაწერით.
- სველი წერტილები ცალკე გოგონებისთვის და ცალკე ვაჟებისთვის იყო განთავსებული სკოლის მიმდებარე ეზოს ბოლოში. ბუნებრივი გაზი სკოლას არ მიეწოდებოდა. სკოლას არ ჰქონდა უწყვეტი წყალმომარაგება. სკოლა მუდმივად ყიდულობდა წყალს სხვადასხვა დანიშნულებით. საკლასო ოთახები თბებოდა შეშის ღუმელებით.
- სკოლის ორივე სართულზე დერეფანში გამოკრული იყო საევაკუაციო გეგმა, რომელიც დამტკიცებული იყო სკოლის დირექტორის მიერ და რომელიც არ ჩანდა რომ შედგენილი იყო უფლებამოსილი ორგანიზაციის მიერ. სკოლაში პერსონალის უსაფრთხოებაზე ზრუნვა და წესრიგის დაცვა ხორციელდება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის მხოლოდ შიდა პერიმეტრის სამეთვალყურეო 2 ვიდეოთვალთ, რომელიც შეესაბამებოდა „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესებს. სკოლის გარე პერიმეტრს ვიდეოთვალი არ აკონტროლებდა და ბუნებრივია არც ჩანაწერის ასახვა არ ხდებოდა მონიტორზე. რადგან სველი წერტილები განთავსებული იყო სკოლის ეზოს ბოლოში, მოსწავლეთა უსაფრთხოების მიზნით იქ უნდა ყოფილიყო დამონტაჟებული ვიდეოკამერა.

ადამიანურ რესურსთან მიმართებით:

- პედაგოგთა სიის მიხედვით ვიზიტის დროს სკოლაში მუშაობდა 26 მასწავლებელი, მათ შორის 13 მასწავლებელს ჰქონდა მაგისტრის ხარისხი, 12 მასწავლებელს ბაკალავრის ხარისხი, ხოლო ერთი მასწავლებლის, კერძოდ ხელოვნების მასწავლებლის ჯუნა დოლაშვილის განათლების ცენზი არ დასტურდებოდა პირად საქმეში არსებული რაიმე დოკუმენტით (პირად საქმეში იყო 09.12. 2009 წ. გაცემული ცნობა იმის შესახებ, რომ იგი სწავლობდა შპს „ხელოვნება“-სთან არსებული კოლეჯის მეორე კურსზე). მოქმედ მასწავლებელთა შორის:
 - ა) დაწყებითი კლასის მასწავლებლის მაია მილაშვილის განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით დამთავრებული ჰქონდა პოლიტექნიკური ინსტიტუტი და მიღებული ჰქონდა კვალიფიკაცია - მანქანათსამშენებლო დისციპლინის მასწავლებელი;
 - ბ) სპორტის მასწავლებელს თამარ თევზაძეს დამთავრებული ჰქონდა სიღნაღის ბიზნესის და ჰუმანიტარულ-ტექნოლოგიური ინსტიტუტის ეკონომიკის ფაკულტეტი კვალიფიკაციით ეკონომისტი - მენეჯერი, ასევე დამთავრებული ჰქონდა ქორეოგრაფიული სტუდია;
 - გ) ისტ-ის მასწავლებელს თამარ ბახტურიძეს დამთავრებული ჰქონდა სულხან-საბა ორბელიანის სახ. პედ. ინსტიტუტის დაწყებითი განათლების ფაკულტეტი, ამავე დროს მასთან არ იყო გაფორმებული ხელშეკრულება. აგრეთვე სკოლის შინაგანაწესში არ იყო ინფორმაცია თანამშრომელთა მიღებისა და დათხოვნის შესახებ.
- ვიზიტის დროისათვის სკოლაში არ იყო ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი, შესაბამისად ხელშეკრულებები არ იყო დანომრილი. ხელშეკრულებაში არ იყო ჩადებული ხელშეკრულების გაგრძელების პირობა. სკოლაში იყო საქმის წარმოების დებულება, მაგრამ არ ჰქონდათ სასკოლო დოკუმენტაციის რეგისტრაციის და შენახვის მკაფიო სისტემა. კერძოდ, სკოლაში ერთად ინახებოდა მოქმედი და სკოლიდან წასული მასწავლებლების პირადი საქმეები, ასევე ერთად ინახებოდა მოქმედი და წასული მასწავლებლების ხელშეკრულებები. საქმის წარმოების დებულება არ იყო განხილული და დამტკიცებული პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე.
- სკოლის შინაგანაწესის მიხედვით სკოლის სტრუქტურული ერთეულები იყო პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა და მშობელთა კომიტეტი. განსაზღვრული იყო მათი უფლება-მოვალეობები. თუმცა მათი მუშაობა არ დასტურდებოდა არც გასაუბრებით და არც დოკუმენტაციით.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დამატებითი შენობების თაობაზე ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაფიქსირებული შენიშვნის შემდეგ გააფორმეს ხელშეკრულებები და წარმოადგინეს სხდომაზე. ასევე წარმომადგენელმა განმარტა, რომ როდესაც მიმდინარეობდა სასწავლო პროცესი მეიჯარე არ სარგებლობდა პირველ სართულზე განთავსებული ოთახებით, აღნიშნული ოთახებით სარგებლობის უფლება მასში შემავალი ინვენტარით და აღჭურვილობით შეეძლო მხოლოდ სკოლას საკუთარი ინტერესების ფარგლებში. მეიჯარე მითითებული ფართით სარგებლობდა მხოლოდ არდადეგების დროს. ამ დრომდე წარმომადგენლის განმარტებით მათ ჰქონდათ მხოლოდ სიტყვიერი შეთანხმება მაგრამ

სამომავლოდ აღნიშნულ შეთანხმებას გააფორმებდნენ იურიდიულადაც სადაც მკაფიოდ იქნებოდა გამიჯნული ოთახებით სარგებლობის დრო.

თავმჯდომარე ირინა ხანთაძე დაინტერესდა იმით, რომ საბჭოზე წარმოდგენილი საიჯარო ხელშეკრულება დადებული იყო 2017 წლის პირველ ივლისამდე, მიუხედავად იმისა რომ ხელშეკრულებაში მითითებული იყო, რომ იგი ავტომატურად გაგრძელდებოდა თუ მხარეები არ მიიღებდნენ სხვა გადაწყვეტილებას, მაინც საინტერესო იყო რატომ არ აირჩია სკოლის დირექციამ დაედო გრძელვადიანი ხელშეკრულება.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ვინაიდან შენობა იყო სახელმწიფოს ბალანსზე, საჭირო იქნებოდა ეკონომიკის სამინისტროს ნებართვები გრძელვადიანი ხელშეკრულების დასადებად. სამომავლოდ დაწესებულება გეგმავდა მიტოვებული სახელმწიფო სკოლის შენობის იჯარით აღებას და ადგილმდებარეობის შეცვლას.

წარმომადგენელმა ასევე გააკეთა კომენტარი სკოლის გარე პერიმეტრის ვიდეოკონტროლის არ არსებობის შესახებ, მან განაცხადა, რომ ვიზიტის პერიოდში კამერები იყო გამორთული ვინაიდან ჭირდებოდა პაროლი და აღნიშნული ტექნიკური გაუმართაობის გამო ვერ მოხერხდა მათი ფუნქციონირების დადასტურება. მან საბჭოზე წარმოადგინა ჯესკო ჯგუფის მიერ შემუშავებული დასკვნა იმის თაობაზე, რომ ვიდეოთვალი მუშაობდა და იყო გამართული.

ექსპერტმა ნელი ნასყიდაშვილმა გააკეთა განმარტება იმის თაობაზე, რომ მიუხედავად იმისა, რომ შენობის წინა მხარეს დამაგრებული იყო კამერები, ისინი ვერ გააკონტროლებდნენ საპირფარეშოს ტერიტორიას, რომელიც იყო განთავსებული ეზოში, ვინაიდან სკოლას წინ ეღობებოდა შენობები.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საპირფარეშოს კონტროლისთვის დირექციას გამოყოფილი ჰყავდა მორიგე მასწავლებელი, რომელიც აკონტროლებდა პერიმეტრს ბავშვების უსაფრთხოების მიზნით. ასევე დაწესებულებამ სხდომაზე წარმოადგინა სათანადო წესით შესაბამისი ორგანოს მიერ შემუშავებული საევაკუაციო გეგმა. ასევე წარმომადგენელმა დაამატა, რომ წწორს არ მიეწოდებოდა მუდმივი წყალი, პერიოდულად წყლით მარაგდებოდა მხოლოდ ცენტრალური ქუჩა, ხოლო დანარჩენებს უწევდათ წყლის შეძენა, საჯარო სკოლებსაც კი.

თავმჯდომარე დაინტერესდა რამდენი მოსწავლე ყავდათ სკოლაში.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნულ ეტაპზე სკოლაში სწავლობდა 151 მოსწავლე.

თავმჯდომარემ მიმართა წარმომადგენელს და დაინტერესდა წლების მანძილზე რომ არ შესულიყო სკოლაში ექსპერტთა ჯგუფი დადგებოდა თუ არა დღის წესრიგში გაუმჯობესებაზე ზრუნვის საკითხი ჰიგიენურ - სანიტარული მდგომარეობისა.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ისინი იცავდნენ სანიტარულ ნორმებს. სკოლაში იყო ხელის დაბანის საშუალება, მათ ჰქონდათ 2 ტონიანი წყლის ბაკი, რომელიც უერთდებოდა ონკანს. მათ ასევე ჰქონდათ სპეციალური ქიმიური ხსნარები რითიც ამუშავებდნენ საპირფარეშოებს.

ექსპერტმა ნელი ნასყიდაშვილმა განაცხადა, რომ მას ონკანი ვიზიტის მიმდინარეობის პერიოდში არ უნახავს.

საბჭოს წევრმა თამარ ფხალაძემ განაცხადა, რომ მისთვის წარმოუდგენელი იყო ქიმიის გაკვეთილზე ჩატარებულიყო პრაქტიკული სამუშაოები, ისე რომ არ გარეცხილიყო ხელსაწყოები და თავად მოსწავლეებსაც ვერ დაეხანათ ხელი ცდების შემდეგ.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ შენობაში დამონტაჟებული იყო ხელსაბანი ექიმის კაბინეტში, უშუალოდ ქიმიის კაბინეტში არ იყო დამონტაჟებული, თუმცა სამომავლოდ გეგმავდნენ ქიმია-ბიოლოგიის ლაბორატორიის გაუმჯობესებას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ინტელექტთან არსებული ქ. წნორის კერძო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლის ავტორიზაციის მინიჭების და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 158-ით განსაზღვრის საკითხი.

ასევე მოითხოვა, რომ გაუმჯობესების მიზნით სკოლაში განმეორებითი ვიზიტი მონიტორინგის სახით განხორციელებულიყო ოქმის გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 3

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირეს: ხათუნა ბარაბაძემ და თამარ ფხალაძემ

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს ინტელექტს (ს/კ 240393409) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 158-ით.

2. შპს სკოლა ფენიქსის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისათვის როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინეს ნელი ნასყიდაშვილმა და ვიქტორია უშანგიშვილმა.

ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

- ვიზიტის მიმდინარეობისას სკოლამ წარმოადგინა 2 სასკოლო სასწავლო გეგმა. 2015-2016 სასწ. წლის და 2016-2017 სასწ. წლის. ორივე განხილული იყო პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე და დამტკიცებული იყო სკოლის დირექტორის მიერ. 2015-2016 სასწ. წლის სასკოლო სასწავლო გეგმა მოიცავდა სწავლების სამივე საფეხურს. დაწყებით საფეხურზე რომ აღარ სურდა სკოლას სწავლების განხორციელება დაფიქსირებული იყო მხოლოდ კათედრების სხდომების ოქმებში, მაგრამ ცვლილებები არ იყო შეტანილი სასკოლო სასწავლო გეგმაში და არ იყო წარმოდგენილი უფლებამოსილი პირის მიერ ცვლილებების შეტანის შესახებ დამადასტურებელი დოკუმენტი.
- ადგილზე დათვალიერებისას კათედრის პორტფოლიოში არ იყო წარმოდგენილი კათედრის სამოქმედო გეგმა, სასწავლო რესურსების ჩამონათვალი, კათედრის მასწავლებელთა მონაცემები, მოსწავლეთა შეფასების პრინციპები. გაირკვა, რომ ყველა საგანში და ყველა კლასში იყო ჩატარებული შემაჯამებელი დავალებები გარდა : 1) მათემატიკაში - IX და XI კლასებში (ნაცვლად 10-10-ისა ჩატარებული იყო შესაბამისად 8 და 7 შემაჯამებელი), 2) ბიოლოგიაში - IX და X კლასებში (ნაცვლად 5-5 -ისა ჩატარებული იყო 4-4 შემაჯამებელი). ეროვნული სასწავლო გეგმის მე-16 მუხლის დ) პუნქტის მიხედვით : „თითოეული მასწავლებელი ვალდებულია, შეაგროვოს და შეინახოს მის მიერ კლასში ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. აღნიშნულ დოკუმენტაციაში წარმოდგენილი უნდა იყოს: სტანდარტის ის შედეგი/შედეგები, რომლის შეფასებასაც ემსახურებოდა კონკრეტული შემაჯამებელი დავალება; კრიტერიუმები, რომლითაც შეფასდა ეს დავალებები; მოსწავლეების მიერ შესრულებული და მასწავლებლის მიერ შეფასებული სამუშაოს რამდენიმე ნიმუში ან შესრულებული სამუშაოს ამსახველი ვიზუალური მასალა; თითოეული კლასის მოსწავლეთა მიერ მიღებული ქულები“. ეს ვალდებულება სასკოლო სასწავლო გეგმაშიც იყო ასახული, მაგრამ არ იყო განხორციელებული. საგნებისა და მასწავლებლების მიხედვით აღმოჩენილი ხარვეზები შემაჯამებლების ანალიზზე დაყრდნობით შემდეგი იყო: ისტორია და სამოქალაქო განათლება : არ იყო მითითებული ესგ-ს საგნობრივი სტანდარტის კონკრეტული შედეგები, მინიშნებული იყო მხოლოდ ზოგადად

ისტორიისა და სამოქალაქო განათლების სწავლების მიზნები. წარმოდგენილი იყო მხოლოდ პირველი სემესტრის შემაჯამებლების ანალიზი. სამოქალაქო განათლების IX და X კლასების შემაჯამებლების მისაღწევ მიზნებში, რომლის შემოწმება/ შეფასებასაც ემსახურებოდა შემაჯამებელი დავალებები ყველგან ეწერა: „ტერმინების დამახსოვრება“, მხოლოდ ტერმინების დამახსოვრებაზე ორიენტირებული შემაჯამებელი დავალებები ვერ შეუწყობდა ხელს სკოლის მისიის მიღწევას: „აღზარდოს პიროვნება, რომელსაც ექნება „დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებული სამოქალაქო ცნობიერება“.

ქართული ენა და ლიტერატურა : მე-12 კლასებში რვა შემაჯამებლის ჩატარება ემსახურებოდა მხოლოდ ორი შედეგის მიღწევას (ქართ. XII.13 და (ქართ. XII. 14) და მე-11 კლასის მხოლოდ პირველი სემესტრის შემაჯამებლების ანალიზი იყო წარმოდგენილი.

ქიმია : წარმოდგენილი იყო მხოლოდ პირველი სემესტრის შემაჯამებლების ანალიზი. შემაჯამებლები ძირითადად ჩატარებულია ტესტური (არჩევითპასუხიანი დავალებების ფორმით). ზოგიერთ საგანში, მაგალითად, ქართულ ენასა და ლიტერატურაში გამოყენებული იყო რეფერატის ფორმა, ხოლო ფიზიკის მასწავლებელთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ ტესტების გარდა ის ატარებდა ზეპირ შემაჯამებელ დავალებებსაც, რომელიც გულისხმობდა მოსწავლის მიერ კონკრეტულ თემაზე ამოცანის ამოხსნას დაფასთან. თუმცა ასეთი შემაჯამებლის დაგეგმვისა და ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტაცია ვერ იქნა წარმოდგენილი. შეფასების კრიტერიუმები ყველა შემაჯამებლებში იყო ზოგადი, მხოლოდ ქიმიაში იყო შემუშავებული კონკრეტული შემაჯამებლის შეფასების კრიტერიუმები.

- არ იყო წარმოდგენილი შემაჯამებელი სამუშაოების ანალიზი არჩევით საგნებში.
- სადამრიგებლო საათები ძირითადად ტარდებოდა სკოლაში. პორტფოლიოში არ იყო წარმოდგენილი ღონისძიებების ჩატარების რაიმე ტიპის დამადასტურებელი მასალა. სემესტრების მიხედვით მოსწავლეთა აკადემიური მიღწევებისა და სოციალური უნარების აღწერა(რაც სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით უნდა ჰქონოდათ) იყო ძალიან ზოგადი. ძირითადად შემოიფარგლებოდა სხვადასხვა საგანში მიღებული წლიური თუ სემესტრული ქულით. თითქმის ყველგან მითითებული იყო, რომ ამა თუ იმ საგნის მასწავლებელმა მისცა მოსწავლეს რეკომენდაციები, მაგრამ არსად არ იყო წარმოდგენილი წერილობითი დადასტურება.
- არ იყო წარმოდგენილი შეფასების კრიტერიუმების გამჭვირვალობის მექანიზმი/ები. მოსწავლეები და მშობლები არ საუბრობდნენ მასწავლებლების მიერ შეფასების კრიტერიუმებზე დაყრდნობით შეფასების მიდგომების გამოყენებაზე.

მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

- სკოლას არ ჰქონდა სპორტული დარბაზი, არც მოედანი. 2015-2016 სასწ. წელს სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული იყო ჭადრაკისა და „პინგ პონგის“ გაკვეთილების ჩატარება შაბათ დღეს, რომელიც სკოლაში სასწავლო დღედ იყო გამოცხადებული. სკოლას გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება(იხილეთ, დანართი № 4 – 2 ფურცლად) შპს „არმანთან“, რომელიც იღებდა ვალდებულებას მომავალ სასწავლო წელს შეექმნა ყველანაირი პირობა სპორტის გაკვეთილების ჩასატარებლად (უზრუნველყო პედაგოგებითაც და სპორტული დარბაზით/მოედნით).

- სკოლას სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია არა ჰქონდა. შეძენილი ჰქონდათ საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის კომპლექტი, რომელიც განთავსებული იყო დერეფანში.
- სკოლას დებულების მიხედვით ჰყავდა ექიმი, რომელთანაც გაფორმებული იყო ხელშეკრულება. ოთახად პირველადი სამედიცინო დახმარებისათვის გამოიყენებოდა სათავსოდ გამოყენებული ოთახი. ექიმის მიერ გაწეული მომსახურების დამადასტურებელი დოკუმენტაცია არ ყოფილა წარმოდგენილი.

თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

წარმომადგენელმა განმარტა, რომ გაირეს ავტორიზაცია 2011 წელს, თავდაპირველად ჰქონდათ უცხო ენების მოსამზადებელი ცენტრი, ავტორიზაცია გავლილი ჰქონდათ 49 მოსწავლეზე, ახორციელებდნენ საბაზო და საშუალო საფეხურებს. დაწყებით საფეხურს არ ითხოვდნენ იმიტომ, რომ იმისათვის რომ განეხორციელებინათ პირველი საფეხური მათ ესაჭიროებოდათ სხვა საგანმანათლებლო სივრცე. შემოტანილი ჰქონდათ სამივე საფეხურზე მაგრამ, ვინაიდან ამ ეტაპზე ვერ მოხერხდა ხელშეკრულების წარმოდგენა ახალ ფართზე დაწყებითი საფეხური გაითხოვეს და ელოდებოდნენ ავტორიზაციას მხოლოდ საბაზო და საშუალო საფეხურებზე.

თავმჯდომარე დაინტერესდა თუ რა იყო ის უპირატესობა რომლის გამოც შესაძლებელი იყო მოსწავლე საბაზო და საშუალო საფეხურზე გადმოსულიყო მათ სკოლაში.

წარმომადგენელმა განმარტა, რომ მათი მოსწავლეები საატესტატო და ეროვნულ გამოცდებს აბარებდნენ ძალიან მაღალ დონეზე, ისინი იყვნენ სწორად სკოლის სახე, მიმდინარე წლის მისაღებ გამოცდაზე მათ აიღეს 70 პროცენტის დანახვა მრავალ პრესტიჟულ უნივერსიტეტებში. შესაბამისად მათ მოსწავლეებს არ უწევდათ სხვადასხვა საგნებში დამატებით მომზადება.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა სპორტის გაკვეთილებით, მისთვის გარკვეულწილად არადამაჯერებლად ჟღერდა თუ როგორ უნდა ევლოთ ბავშვებს შაბათ დღეს სხვა საგნობრივ გაკვეთილებთან პარალელურად სპორტის გაკვეთილებზე, თუ კი მათ მოუწევდათ სხვა დაწესებულებაში სიარული სპორტზე.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მოსწავლეების არჩევანზე იყო აღნიშნული დამოკიდებული, თუ მათ ექნებოდათ სურვილი ჯერ დაესწრებოდნენ გაკვეთილებს და შემდეგ წავიდოდნენ სპორტზე ან გაკვეთილების შემდეგ, ისინი მაქსიმალურად ცდილობდნენ მოსწავლეების ინტერესებზე მოერგოთ აღნიშნული საკითხი. მათ განაცხადეს, რომ 2016-2017 წლების სასწავლო გეგმაში დეტალურად იქნებოდა გაწერილი სპორტის გაკვეთილის განხორციელების დეტალები.

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ვერ მიიღებდა სპორტის სქემას, მას ეჭვი ეპარებოდა ხომ არ იყო აღნიშნული სქემა შექმნილი მხოლოდ ავტორიზაციის მიღების მიზნით. უსაფრთხოების მიზნითაც არ იქნებოდა მართებული, ვინაიდან მას მოუწევდა ქალაქის ერთი ბოლოდან მეორე ბოლოში წასვლა და ვერავინ ვერ გააკონტროლებდა გადაადგილების პროცესში მათ უსაფრთხო მგზავრობას.

საბჭოს წევრი ხათუნა ბარაბაძე დაინტერესდა მშობლებთან შეთანხმებული თუ იყო სპორტის საკითხი, ვინაიდან მათ მექანიზმებში აღნიშნული იყო მშობლებთან ურთიერთობის ასპექტი.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მშობლები იყვნენ ინფორმირებულნი და არ გამოხატავდნენ წინააღმდეგობას. ასევე კომენტარი გაკეთდა ქიმიის ლაბორატორიასთან

დაკავშირებით, რაზეც მან განაცხადა, რომ ჰქონდათ მოძრავი ლაბორატორია და გაკვეთილის დაწყების წინ შეჰქონდათ კლასში და ხდებოდა მისი გამართვა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სკოლა ფენიქსის ავტორიზაციის მინიჭების და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 69-ით განსაზღვრის საკითხი.

თავმჯდომარემ მოითხოვა დაწესებულებისაგან, რომ 2 კვირის თავზე ცენტრში წარმოდგინათ დოკუმენტაცია მტკიცებულებებით საბჭოს მიერ გამოთქმული შენიშვნების გამოსწორების თაობაზე, კერძოდ სტანდარტების გათვალისწინებით მოგვარებული ყოფილიყო სპორტის პრობლემა და მოსწავლეებს არ დასჭირვებოდათ სირბილი ქალაქის მეორე ბოლოში ვინაიდან აღნიშნული სცილდებოდა გონიერების ფარგლებს. ასევე შეფასების სისტემაში ყოფილიყო შემაჯამებელი შეფასების განვითარების გეგმა, ხოლო თუ ცენტრი ჩათვლიდა მიზანშეწონილად განხორციელებულიყო დამატებითი ვიზიტი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს სკოლა - ფენიქსს (ს/კ: 205178010) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 69-ით.

3. შპს თამარიონის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისათვის როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინეს ნანა ბარნაბიშვილმა და იანინა გიგიბერიამ.

ექსპერტმა განაცხადა, რომ დასკვნაში ხარვეზები არ ფიქსირდებოდა, დაწესებულება აკმაყოფილებდა ავტორიზაციის სტანდარტებს და ჰქონდა სრული რესურსი მიეღწია დასახული მიზნებისათვის. ერთადერთი რეკომენდაცია ეხებოდა ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების მიმართებით სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამის საათობრივ ბადეს, სადაც დაზუსტება ხდებოდა კვირის განმავლობაში თითოეულ კლასში, საგნების მიხედვით კვირეულ დატვირთვას. 2015-16 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისად, საშუალო კვირეული დატვირთვა აღემატებოდა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნას, რაც ეყრდნობოდა სკოლის მისიას და შემუშავებული იყო პრიორიტეტების გათვალისწინებით. სასურველი იქნებოდა სასწავლო დღის განრიგის გონივრულად გადანაწილება, რაც განაპირობებდა მოსწავლეთა უფლებების დაცვას (რომ არ მომხდარიყო მათი გადატვირთვა). ამავე დროს კარგი იქნებოდა, თუ სასწავლო დღის განრიგს შე ათანხმებდნენ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. დაწესებულებამ აღნიშნულთან დაკავშირებით გამოთქვა მზაობა მომდევნო სასწავლო წლიდან გამოესწორებინა აღნიშნული ხარვეზი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თამარიონის ავტორიზაციის მინიჭების და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 650-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს თამარიონს (ს/კ: 200013653) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 650-ით.

16:25 საათზე სხდომას შემოუერთდა საბჭოს წევრი რევაზ აფხაზავა.

4. შპს გრაალის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისათვის როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინეს ქეთევან ბოტკოველმა და დარეჯან ლორთქიფანიძემ.

ექსპერტმა ქეთევან ბოტკოველმა აღნიშნა რომ არსებითი ხარვეზები არ დაფიქსირებულა ვიზიტის დროს, დასკვნა იყო დადებითი თუმცა ყურადსაღები იყო რამოდენიმე რეკომენდაცია, რაც გულისხმობდა იმას, რომ სკოლას არ ჰქონდა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული და გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება, რაც ექსპერტების აზრით ხელს შეუწყობდა მისიით გათვალისწინებული ყველა პუნქტის შესრულებას თუმცა აღნიშნული არ ატარებდა სავალდებულო ხასიათს. ასევე ვინაიდან სკოლაში ფუნქციონირებდა მხოლოდ საშუალო საფეხური, არსებული შეფასების სისტემის ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს უჭირდათ შეფასების რუბრიკების შედგენა და იყენებდნენ მზა ზოგად რუბრიკებს რაც ასახული იყო მასწავლებლის მიერ შემაჯამებელი დავალების ანალიზში და განხილული იყო კათედრების სხდომაზე. მოსწავლეებს შემაჯამებელი დავალება ეძლეოდათ მხოლოდ ტესტის სახით ქართული ენისა და ლიტერატურის გარდა, სადაც ტესტთან ერთად მოსწავლეებს ტესტის გარდა უწევდათ თემის და ესეს ჩაბარებაც. აღნიშნული მეთოდი საშუალებას იძლეოდა შემოწმებული ყოფილიყო მოსწავლეების მხოლოდ ფაქტობრივი ცოდნა, შესაბამისად დაწესებულებამ გადაწყვიტა ეზრუნა პედაგოგების პროფესიულ განვითარებაზე და შეფასების კრიტერიუმების დახვეწაზე. დაწესებულების მიერ შემუშავებული 2016-17 წლის SWOT ანალიზიდან გამომდინარე ნათლად იკვეთებოდა მათი მზაობა აღნიშნული რეკომენდაციების გამოსწორების თაობაზე და ორიენტირებულობა გაუმჯობესებაზე სუსტი და ძლიერი მხარეების შესწავლის შედეგად.

ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლაში სასწავლო წლის დაწყებიდან იგეგმებოდა მსოფლიო რაგბის პროგრამის განხორციელება და მესამე სპორტის სახეობად რაგბის შეთავაზება. მატერიალურ და ადამიანურ რესურსთან მიმართებით ხარვეზი არ ფიქსირდებოდა, სკოლა მზად იყო წარმატებით განეხორციელებინა დასახული მიზანი.

საბჭოს წევრი რევაზ აფხაზავა დაინტერესდა რამდენი ადგილის მოთხოვნა სურდათ კონტიგენტის განსაზღვრის მიზნით.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად ითხოვდნენ 100 მოსწავლეს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს გრაალის ავტორიზაციის მინიჭების და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 100-ით განსაზღვრის საკითხი.

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ის ხარვეზები რომელიც დაფიქსირდა შეფასების სისტემასთან მიმართებით და ყველა ის სუსტი მხარე რომელიც თავად დაწესებულებას ჰქონდა აღნიშნული SWOT ანალიზში ყოფილიყო ნათლად და მკაფიოდ აღწერილი მომდევნო თვითშეფასების ანგარიშში, რაც ცენტრს მისცემდა საშუალებას ენახა გამოსწორებული იყო თუ არა მითითებული პრობლემური საკითხები და ხარვეზები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს გრაალს (ს/კ: 404901166) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 100-ით.

17:00 საათზე საბჭოს წევრმა ხათუნა ბარაბაძემ დატოვა სხდომა.

17:05 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.



5. შპს არასახელმწიფო საერო საშუალო სკოლა ათინათის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისათვის როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინეს თეა შაყულაშვილმა და ცირა ნიკოლაიშვილმა.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ არსებითი ხარვეზები არ ფიქსირდებოდა, მცირე დარღვევები იყო გამოკვეთილი მხოლოდ მატერიალურ რესურსთან მიმართებით, კერძოდ სკოლა განთავსებული იყო სამ სართულიან შენობაში, სამივე სართულზე იყო თურქული ტიპის თითო თითო სველი წერტილი, რაც ექსპერტის მოსაზრებით არ იქნებოდა საკმარისი მოსწავლეების რაოდენობის გათვალისწინებით. ასევე სპეციალური საჭიროებების მქონე პირის საპირფარეშო განთავსებული იყო პირველ სართულზე თუმცა იყო ვიწრო და მასში ეტლით მობრუნება პრაქტიკულად შეუძლებელი გახლდათ. კიდევ ერთ პრობლემას წარმოადგენდა სპორტულ დარბაზში გასახდელის არ ქონა, თუმცა ყოველივე ზემოთქმულის გამოსწორება დაწესებულებას გაწერილი ჰქონდა ექვსწლიან სამოქმედო გეგმაში. ფიქსირდებოდა ერთი შენიშვნა ადამიანურ რესურსთან მიმართებით, კერძოდ ხელოვნების ისტორიის მასწავლებელს არ ჰქონდა შესაბამისი განათლება საგანში, გახლდათ ქართული ლიტერატურის მაგისტრი, არ ჰქონდა მოპოვებული მასწავლებლად მუშაობის უფლება და შესაბამისად არ იყო ჩართული სქემაში.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს, რომელმაც განაცხადა, რომ აღნიშნული ხარვეზი უკვე გამოსწორებული იქნა და სხდომაზე წარმოადგინა დოკუმენტაცია ახალ პედაგოგთან დაკავშირებით.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ წინა ავტორიზაციით მოსწავლეების რაოდენობა განსაზღვრული იყო 200 მოსწავლით, ექსპერტების მიერ მოწოდებული ინფორმაციით საბჭოზე დადგა საკითხი ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულიყო 217 მოსწავლით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს გრაალისათვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 217-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს არასახელმწიფო საერო საშუალო სკოლა ათინათს (ს/კ: 212274867) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 217-ით.

6. შპს ნუნუ ავაგუმაშვილის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისათვის როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინეს ნანა ბარნაბიშვილმა და ავთანდილ აბდუშელიშვილმა.

ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

- სკოლამ წარმოადგინა 2015/16 წლების სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც განხილული და დამტკიცებული იყო 2015 წლის 10 სექტემბერს პედსაბჭოს №6 ოქმით. აღსანიშნავი იყო, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის მე-3 თავის, მე-11 მუხლის მე-4 ქვეპუნქტის შესაბამისად „სასკოლო სასწავლო გეგმა უნდა დამტკიცდეს ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე არაუგვიანეს ერთი კვირით ადრე“, სკოლამ 2015 წელს სწავლა დაიწყო 14 სექტემბერს, რაც გარკვეულ შეუსაბამობაში მოდიოდა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნასთან, კერძოდ სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმა უნდა დაემტკიცებინა არაუგვიანეს 7 სექტემბერს.
- სკოლის საათობრივი ბადის თანახმად, მოსწავლეები I- XI კლასში ყველა იმ სავალდებულო საგანს სწავლობდნენ რომელიც ეროვნული სასწავლო გეგმითა იყო გათვალისწინებული, თუმცა XII კლასის სასკოლო საათობრივ ბადეში არ იყო გამოჩენილი სავალდებულო და აბიტურის საათები. სკოლის დირექტორის მოადგილის განცხადებით სკოლა აბიტურის საათს ატარებდა მხოლოდ პირველ უცხო ენასა (ინგლისურსა) და ისტორიაში 1 საათს და მათ სავალდებულო და აბიტურის საათები გაერთიანებული ფორმით ჰქონდათ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმის საათობრივ ბადეში.
- სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილს წარმოადგენდა სადამრიგებლო პროგრამა, რომელიც აკოპირებდა ეროვნული სასწავლო გეგმის სადამრიგებლო პროგრამას და არ იყო მორგებული სკოლის ინდივიდუალურ საჭიროებაზე. სასკოლო სასწავლო გეგმის სადამრიგებლო პროგრამაში წარმოდგენილი სადამრიგებლო გეგმების ფორმები განსხვავებული იყო დამრიგებელთა პორტფოლიოში არსებული ფორმებისაგან. I-IV კლასებში სასკოლო სასწავლო გეგმის სადამრიგებლო პროგრამა აზუსტებდა, რომ დამრიგებელი ვალდებული იყო არანაკლებ კვირაში ერთხელ ჩაეტარებინა კითხვის საათი, თუმცა I-IV კლასის დამრიგებელთა პორტ ფოლიოებით და ანგარიშებით აღნიშნული პროგრამის განხორციელება არ დგინდებოდა, თუმცა ზეპირი გასაუბრებით პედაგოგები აღნიშნავდნენ, რომ აქტიურად მუშაობდნენ წიგნიერების კომპეტენციის გაძლიერებაზე მოსწავლეებში.

- სასკოლო შეფასების სისტემის ძირითადი ნაწილი კოპირებული იყო ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემულ შეფასების სისტემიდან.
- დაწესებულების სასწავლო გეგმის შესწავლამ აჩვენა, რომ სასკოლო სასწავლო გეგმა არ გამომდინარეობდა სკოლის მისიიდან, არ იყო მორგებული სკოლის ინდივიდუალურ საჭიროებებს და მისი ძირითადი ნაწილი აკოპირებდა ეროვნული სასწავლო გეგმის შესავალს. გამონაკლისი იყო მხოლოდ “ანალიტიკურ-ლოგიკური აზროვნების განვითარება მოსწავლეებში”, რისთვისაც სკოლას დამატებით საგნად არჩეული ჰქონდა მათემატიკური ლოგიკა.
- სკოლას შემუშავებული ჰქონდა სასკოლო სასწავლო გეგმა და საგნობრივი პროგრამები, რომლებიც წარმოდგენილი იყო მასწავლებლების პორტფოლიოებში სილაბუსების სახით, თუმცა სასკოლო სასწავლო გეგმა არ აზუსტებდა შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა შედეგების მიღწევის საშუალებებს, სკოლის მიერ წარმოდგენილი სასწავლო პროგრამებით არ დგინდებოდა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების ჩამოყალიბება. სკოლის მიერ წარმოდგენილ არცერთ დოკუმენტში მისაღწევის შედეგები და ინდიკატორები არ გამომდინარეობდა ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტიდან. სკოლამ ვერ წარმოადგინა შემაჯამებელი წერის ანალიზის ფორმები რომელსაც აანალიზებდა და საბოლოო ანგარიშის ფორმით ამზადებდა კათედრის ხელმძღვანელი, თუმცა კათედრის პორტფოლიოებში ინახებოდა მასწავლებლების მიერ შევსებული შემაჯამებელი წერის ანალიზის ფორმები. აღნიშნული ფორმებით დგინდებოდა, რომ სკოლის პედაგოგები სასწავლო წლის ბოლოს ავსებდნენ შემაჯამებელი წერების ანალიზის ფორმებს. შემაჯამებელი წერის ანალიზის ფორმა აზუსტებდა კლასს, საგანს, მასწავლებლის ვინაობას, შემაჯამებელი წერის თემას, შემაჯამებელი წერის მიზნებს, შემაჯამებელი წერის შედეგებს და აანალიზებდა შემაჯამებელ წერას. სკოლის მიერ წარმოდგენილი შევსებული ფორმებით არ დგინდებოდა შემაჯამებელი წერის მიზნების და შედეგების კავშირი ეროვნული სასწავლო გეგმის კონკრეტული საგნების სტანდარტების შედეგებთან, რომლის მიღწევაც უნდა გაეზომა შემაჯამებელი შეფასება. პედაგოგებთან და მშობლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა დიდ ყურადღებას უთმობდა მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს. კლასის დამრიგებლები პერიოდულად აანალიზებდნენ მოსწავლეთა შეფასებებს, გაცდენებს და შეიმუშავებდნენ ცალკეული მოსწავლის საჭიროებაზე მორგებულ სამოქმედო გეგმას. საჭიროების შემთხვევაში სკოლაში ტარდებოდა დამატებითი მეცადინეოები მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით. აღსანიშნავი იყო, რომ აღნიშნული პროცედურა სკოლას დოკუმენტურად გაწერილი არ ჰქონდა. საგნობრივი კათედრების პორტფოლიოებში არსებული დოკუმენტებით ვერ დგინდებოდა, რომ კათედრები პერიოდულად აანალიზებდნენ მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, გაცდენებს და შეიმუშავებდნენ ცალკეული კლასის/მოსწავლის საჭიროებებზე რეაგირების ფორმებს.
- სკოლის სასწავლო გეგმა აკოპირებდა ეროვნული სასწავლო გეგმის 27-30 მუხლების პრინციპებს, რითაც აყალიბებდა ხედვას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა განათლების შესახებ. საკითხზე ინტერვიურების დროს დირექტორის მოადგილემ აღნიშნა, რომ ინკლუზიური საჭიროებების მქონე მოსწავლეები მათ ამჟამად არ ჰყავდათ, ამიტომ მხოლოდ ზოგადი პრინციპები ჰქონდათ წარმოდგენილი. სკოლამ ვერ წარმოადგინა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფორმა, რომელსაც დაწესებულება გამოიყენებდა საჭიროების შემთხვევაში. მასწავლებლებთან

ინტერვიუებით დგინდებოდა, რომ სკოლა იყენებდა ინტერაქტიული სწავლების მეთოდებს, რაც უზრუნველყოფდა ყველა მოსწავლის სწავლისა და განვითარების თანაბარ შესაძლებლობებს. პედაგოგები აღნიშნავდნენ, რომ მათი სასწავლო მიზნები ცოდნის გადაცემაზე იყო ორიენტირებული და ხშირად აწერინებდნენ მოსწავლეებს საკონტროლო წერებს. პედაგოგთა პორტფოლიოების დათვალიერებით შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ისინი არ იყენებდნენ შემაჯამებელი შეფასების მრავალფეროვან ფორმებს. შეფასების სისტემის ძირითადი ნაწილი კოპირებული იყო ეროვნული სასწავლო გეგმის შეფასების სისტემიდან. სასკოლო სასწავლო გეგმით არ დგინდებოდა თუ რომელ საგნებში გეგმავდა სკოლა წლიური გამოცდის ჩატარებას. პედსაბჭოს სხდომის ოქმებში არ იძებნებოდა მსგავსი ჩანაწერი, რომელიც ასახავდა მსჯელობას წლიური გამოცდების დანიშვნაზე. ამავდროულად, დირექტორის ბრძანება გამოცდების ჩატარების ვადების გარდა არ აზუსტებდა საგანთა ჩამონათვალს, თუ რომელ საგნებში და კლასებში ჩატარდებოდა გამოცდები. მშობლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა VII-X კლასებში თითქმის ყველა საგანში ატარებდა წლიურ გამოცდას. აღნიშნული ფაქტის დასადასტურებლად ექსპერტების მიერ მოთხოვნილ იქნა შესაბამისი კლასების საკლასო ჟურნალები, რომლებშიც დაფიქსირებული იყო საშუალოდ 6-7 საგანში, წლიური გამოცდის შეფასებები, რაც ავტომატურად მოქმედებდა მოსწავლეთა წლიურ შეფასებაზე. აღნიშნული გარემოება შეუსაბამობაში მოდიოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის N 36/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ N118/ნ ბრძანებასთან, რომლის თანახმადაც წლიურ გამოცდებთან დაკავშირებით დაწესდა შეზღუდვა. კერძოდ, სკოლას უფლება ჰქონდა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში კლასისათვის დაენიშნა გამოცდა არაუმეტეს ორ საგანში. ამავე დროს, ერთსა და იმავე საგანში გამოცდებს შორის უნდა ყოფილიყო ორწლიანი შუალედი მაინც (მაგ. თუ სკოლამ მე-7 კლასში დანიშნა წლიური გამოცდა ინგლისურ ენაში, მომდევნო ორი წლის განმავლობაში ამ საგანში ვეღარ დანიშნავდა წლიურ გამოცდას).

- სკოლამ 2016 წლის 10 სექტემბრის პედაგოგიური დარბაზის სხდომაზე შეიმუშავა და დაამტკიცა სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების გეგმა. არსებული გეგმა მოიცავდა შემდეგ ძირითად მიმართულებებს:

- ძირითადი გეგმიურ-საორგანიზაციო ღონისძიებები;
- კათედრებთან მუშაობის ორგანიზება;
- საგანმანათლებლო პროცესის ხელმძღვანელობა;
- პედაგოგიური კონტროლი საგანმანათლებლო პროცესზე;
- მშობლებთან მუშაობა;
- სკოლაში მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და სამეურნეო საქმიანობის გაძლიერება;

გეგმაში დაზუსტებით იყო გაწერილი შესასრულებელი სამუშაოს დასახელება, შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი, შესრულების ვადები და შესრულების შედეგები. არსებული გეგმა არ იძლეოდა მკაფიო სურათს ვინ - ვის და რა პერიოდულობით აწვდიდა ინფორმაციას, არ ემყარებოდა სასწავლო წლის მანძილზე საგნის მასწავლებლების, კლასის დამრიგებლების, კათედრის ხელმძღვანელებისა და ადმინისტრაციის მიერ მოგროვილ და გაანალიზებულ მონაცემებს. აღნიშნული დოკუმენტი მოიცავდა გრაფას „შესრულების შედეგი“. დოკუმენტი დამტკიცებული იყო სასწავლო წლის დასაწყისში (10.09.2015) და დღემდე მასში არ იყო გაანალიზებული შესრულებული სამუშაოს შედეგები.

მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

- შპს „ნუნუ ავაგუმაშვილის“ კერძო საშუალო სკოლა საიჯარო ხელშეკრულების საფუძველზე შპს „რეგილისგან“ ფლობდა ერთ მისამართზე განთავსებულ ცალკე მდგომ ორ სართულიან შენობა-ნაგებობას. პირველი სართულის ფართი შეადგენდა 517,21 კვ.მ. მეორე სართულის ფართი შეადგენდა 448,26 კვ.მ. საიჯარო ხელშეკრულება შპს „რეგიალთან“ გაფორმებული იყო 01.01.2016 წელს შვიდი წლის ვადით. საჯარო რეესტრით უფლების რეგისტრაცია მოხდა 15.08.2016 წელს. დაწესებულება იჯარის ხელშეკრულებით ფლობდა შენობის საერთო ფართის ნაწილს, დანარჩენი ფართი ორივე სართულზე არ იყო გამიჯნული სკოლისაგან, რაც ვერ აკმაყოფილებდა უსაფრთხო სკოლის სტანდარტს.
- სკოლა შენობის მეორე სართულზე, კორიდორში, მე-11 კლასის წინ სამშენებლო „ბლოკით“ აშენებდა მორიგე პედაგოგის ოთახს. საკლასო ოთახის კარსა და ნაგებობას შორის დაშორება იყო ძალიან მცირე, რაც საფრთხეს შეუქმნიდა დერეფანში მოსწავლეთა და პედაგოგთა უსაფრთხო გადაადგილებას.
- სკოლის ეზო საერთო სივრცისგან არ იყო გამიჯნული ღობით, მიმდებარე ტერიტორიაზე (დაახლოებით 50 მეტრში) მიმდინარეობდა საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, რაც საფრთხეს უქმნიდა მოსწავლეთა თავისუფალ გადაადგილებას და ეწინააღმდეგებოდა უსაფრთხო სკოლის სტანდარტს.
- საკლასო ოთახი რომელიც ამავდროულად იყო სკოლის ლაბორატორია ნიავდებოდა ბუნებრივად (იღებოდა სარკმელი), მაგრამ მასში არ იყო დამონტაჟებული სველი წერტილი.
- დაწესებულების მფლობელობაში არსებულ თითოეულ სართულზე (I, II სართული) განთავსებული იყო სველი წერტილები, რომლებიც ნაწილობრივ ვერ აკმაყოფილებდა სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებს.
- სასწავლო დაწესებულების ადაპტირებული გარემო ნაწილობრივ აკმაყოფილებდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის საჭირო პირობებს. კერძოდ შენობის პირველ სართულზე განლაგებულ ადაპტირებულ სველი წერტილში მოწყობილი ინფრასტრუქტურა სტანდარტთან შესაბამისობაში არ იყო ბოლომდე მოყვანილი. მეორე სართულზე ასასვლელად კიბეებზე დამაგრებული იყო ხის ასაკეცი პანდუსები.
- დაწესებულებას ვიზუალური დათვალიერებით გააჩნდა უსაფრთხოების თერთმეტი კამერა, რომელთაგან ორი დამაგრებული იყო შენობის შემოსასვლელის გარე ფასადზე (დოკუმენტებისა და ვიზუალური დათვალიერების შედაგად დადგინდა, რომ კამერები იყო 3,0 მეგაპიქსელი გარჩევადობის და იღებდა 15 მეტრის რადიუსის სივრცეს. აღნიშნული კამერები ჩანაწერს ინახავდნენ მხოლოდ შვიდი დღე), რაც არ შეესაბამებოდა „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესებს“ სკოლის უკანა პერიმეტრი კონტროლდებოდა გარე პერიმეტრის ერთი კამერით, დანარჩენი 8 კამერა განაწილებული იყო შენობის შიდა სივრცეში. შესყიდვის დოკუმენტებით სკოლას უდასტურდებოდა მხოლოდ 9 კამერის ქონა.

- სკოლამ ვერ წარმოადგინა სამოქმედო გეგმის შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია და შესრულებული სამუშაოების ანალიზი. ასევე, სკოლას არ ჰქონდა 2016-2017 წლის სამოქმედო გეგმის სამუშაო პროექტი. რაც შეეხებოდა სკოლის ექსპლუატაციის სტრატეგიული განვითარების გეგმას, იგი მოიცავდა პერიოდს 2015-2021 წელს.
- ბრძანების წიგნად გამოყენებული იყო ბაინდერი, რომელშიც ჩაკრული იყო დოკუმენტაცია აკინძვის და დამოწმების გარეშე.

ადამიანურ რესურსთან მიმართებით:

- 2015-2016 სასწავლო წლისათვის სკოლაში დასაქმებული 32 პედაგოგიდან 31 პედაგოგის კვალიფიკაცია შეესაბამებოდა დაკავებულ თანამდებობას. ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგის მანანა ყაველაშვილის კვალიფიკაცია არ შეესაბამებოდა დაკავებულ თანამდებობას, მას 1996 წელს დამთავრებული ჰქონდა თსუ-ს ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სრული კურსი ჟურნალისტიკის სპეციალობით და მიენიჭა ჟურნალისტიკის კვალიფიკაცია, არ ჰქონდა გავლილი პედაგოგის გადასამზადებელი კურსები და პირად საქმეში არ აღმოჩნდა პედაგოგის კვალიფიკაციის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი.
- მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სხვა თანამშრომლებთან გაფორმებული იყო შრომითი ხელშეკრულებები. პედაგოგთა შრომით ხელშეკრულებებში დარღვეული იყო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესი: ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლას შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე არ ჰყავდა პედაგოგიური პერსონალი, რადგან ყველა პედაგოგს ხელშეკრულების ვადა ამოეწურა 2016 წლის 30 ივნისს, ვიზიტის დროს სკოლის მიერ რაიმე შრომითი სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელების დამადასტურებელი დოკუმენტი (განზრახულობათა მემორანდუმი, წინარე ხელშეკრულება ან დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანება უვადო დანიშვნის შესახებ) არ ყოფილა წარმოდგენილი. რაც შეეხებოდა თავად ვადაგასულ ხელშეკრულებებს, ისინი დადებული იყო 11 თვეზე ნაკლები ვადით (14.09.2015-30.06.2016), რის გამოც ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულების უფლება დასაქმებულს ჰქონდა შეზღუდული, რადგან დასაქმებულს შვებულების უფლება ხელშეკრულებისა და წესდების მიხედვით წარმოეშვებოდა 11 თვის შემდეგ. ეს ეწინააღმდეგებოდა საქართველოს ორგანულ კანონს „შრომის კოდექსს“. შრომითი ხელშეკრულებები ადმინისტრაციულ, ტექნიკურ და სხვა პერსონალთან გაფორმებული იყო ასევე 14.09.2015-30.06. 2016 ჩათვლით.
- ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმების დასადასტურებლად დაწესებულებამ წარმოადგინა მხოლოდ დოკუმენტი თბილისის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის კვალიფიციური სპეციალიტების ინიციატივით შექმნილი საგანმანათლებლო ორგანიზაცია „დიდაქტიკისადმი“ მიმართვა (რომელიც, რამდენიმე წელია აღარ ფუნქციონირებდა) და შპს „ნუნუ ავაგუმაშვილის“ კერძო საშუალო სკოლის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სასკოლო პროგრამა (2015-2016წ), რომელშიც გაწერილი იყო მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები, თუმცა ამ მექანიზმების დანერგვის ამსახველი დოკუმენტაცია არ იძებნებოდა.

- არსებობდა მოსწავლეთა თვითმართველობა, თუმცა მისი აქტიურობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ვერ წარმოადგინეს. სკოლაში არ მიმდინარეობდა საკლუბო მუშაობა და მოსწავლეთა ინიციატივების წახალისება.

თავმჯდომარემ მიმართა კითხვით სკოლის წარმომადგენელს, რა იყო მათი სუსტი მხარე. თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათი სკოლის სუსტი მხარე გახლდათ ის, რომ სკოლას ჰქონდა ცოტა საკლასო ოთახები, შენობა გახლდათ არასტანდარტული, თუმცა ცდილობენ გააუმჯობესონ და მიამატონ სკოლას ფართი.

ექსპერტმა განაცხადა, რომ ჯგუფი შეეცადა ადგილზევე გაეცნო დაწესებულებისათვის დასკვნა ვინაიდან ხარვეზები ფიქსირდებოდა სამივე სტანდარტში, მისცეს შესაძლებლობა გამოესწორებინათ გარკვეული ასპექტები. აღნიშნული გარემოების შემდეგ სკოლამ ცენტრში წარადგინა საპასუხო წერილი ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით.

პროგრამული ნაწილი საბჭოს წარუდგინა ექსპერტმა ავთანდილ აბდუშელიშვილმა რომელმაც განაცხადა, რომ დასკვნაში ასახულ ხარვეზზე მისიასთან დაკავშირებით, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ საპასუხო წერილში მათ აღნიშნეს, რომ შენიშვნა გახლდათ არაობიექტური ვინაიდან სკოლის მისია გამომდინარეობდა ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების შინაარსიდან, რაც საფუძველი გახლდათ ეროვნული სასწავლო გეგმის.

თავმჯდომარე დაინტერესდა დასკვნაში ასახულ შენიშვნასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა გამოცდების ჩატარებას, როგორც დასკვნიდან ირკვეოდა გამოცდების ჩატარების თარიღი დგინდებოდა იმავე დღეს დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებით, საინტერესო იყო ასეთ შემთხვევაში როგორ ხდებოდა მოსწავლეების და მშობლების ინფორმირებულობა თარიღთან და ჩასაბარებელი საგნების ნუსხასთან დაკავშირებით.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მთელი წლის მანძილზე მიმდინარეობდა ზეპირი შეთანხმება აღნიშნულთან დაკავშირებით შესაბამისად მშობლებიც ზეპირსიტყვიერად იყვნენ ჩაყენებული საქმის კურსში, ხოლო ბრძანების გამოცემა იმავე თარიღზე იყო ფორმალური ხასიათის.

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მისთვის გაუგებარი იყო რატომ ხდებოდა ასე ვინაიდან ბრძანებით აღნიშნულის დადასტურება შესაძლებელი იყო წლის განმავლობაშიც და არა ბოლო წუთს. აღნიშნული მისი აზრით იყო ზერელე მიდგომა. კითხვებს ბადებდა ის რომ მტკიცებულება არ იყო აღნიშნული პრაქტიკისა. შეფასების ნაწილში ზოგადად იყო გაწერილი შესაბამისი დადასტურების გარეშე.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ხარისხის განვითარების კუთხით დაწესებულებაში ფუნქციონირებდა 5 კაციანი მონიტორინგის ჯგუფი, შემუშავებული ჰქონდათ კითხვარები, რის საფუძველზე მუშავდებოდა საბოლოო დასკვნა.

თავმჯდომარე დაინტერესდა მონიტორინგის ჯგუფის საქმიანობით, ხდებოდა სასწავლო პროცესში არსებული პრობლემების შესწავლა თუ რა კუთხით მოქმედებდა იგი.

ექსპერტმა განმარტა რომ მის მიერ შესწავლილი ანგარიში მისი მოსაზრებით არ იძლეოდა კონკრეტულ სურათს, რომ მისი რეალიზება ხელს შეუწყობდა სასკოლო სასწავლო გეგმის განვითარებას, უბრალოდ მისი შინაარსი ადასტურებდა გარკვეული დონისძიებების შესრულებას.

ექსპერტმა ნანა ბარბანიშვილმა მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით გააკეთა კომენტარი, კერძოდ მან განაცხადა, რომ წინა ავტორიზაციის მინიჭებიდან თითქმის არაფერი იყო შეცვლილი, მათ ნახეს შუაზე გადახერხილი ორ ადგილიანი მერხები გადაკეთებული ერთ

ადგილიანად, შენობა გახლდათ იჯარით აღებული, შენობა იყო გაყოფილი ორად, ერთ ნაწილში იყო სკოლა ხოლო მეორე ნაწილში სამი დღის განმავლობაში ვერ გაირკვა თუ რა ხდებოდა, მეორე ნაწილში გასასვლელი კარები ორივე სართულზე იყო ღია, გამიჯნული არ იყო სკოლისაგან.

დაწესებულებამ განმარტა, რომ მეორე ნაწილი გახლდათ მეიჯარის ტერიტორია და სარგებლობდა მათი დერეფნით. სასწავლო პერიოდში კარები იკეტებოდა პირველ სართულზე. ბლოკის მშენებლობა შეჩერებული იქნა, გაკეთდა ტიხარი ვიზიტის დასრულების შემდგომ. წარმოადგინეს პოტო მასალა. ასევე აღდგენილი იყო ღობე, მხოლოდ არდადეგების პერიოდში არ იყო ტერიტორია შემოფარგლული, ვინაიდან ღობე იყო დაზიანებული და საჭიროებდა შეკეთებას. ასევე დაწესებულებამ წარმოადგინა ფოტომასალა ლაბორატორიასთან და სველ წერტილებთან დაკავშირებით სადაც ასახული იყო ადაპტირებული სველი წერტილი.

საბჭოს წევრმა ადამიანურ რესურსთან მიმართებით, კერძოდ ხელშეკრულებებთან დაკავშირებით არსებულ ხარვეზზე განაცხადა, რომ მთავარ პრობლემას წარმოადგენდა ის, რომ ავტორიზაციის ვიზიტის პერიოდში სკოლას არ ჰყავდა პედაგოგები, ის ფაქტი რომ მათთან გაფორმებული იყო ზოგადად 11 თვიანი ხელშეკრულებები ეგ თავად შპს-ს გადასაწყვეტი იყო.

წარმომადგენელმა ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მანანა ყაველაშვილი გახლდათ ფილოლოგი, იგი მიღებულ იქნა კონკურსის წესით, იგი გახლდათ პრაქტიკოსი მასწავლებელი. მასწავლებლის პროფესიული განვითარების მიზნით სკოლამ თავისი ხარჯით გაატარა პედაგოგები ნიუ პრაიმში ტრენინგები სწავლა სწავლების ამაღლების შესახებ, თანამშრომლობდნენ ილიას უნივერსიტეტთან, გადიოდნენ მათ მიერ ორგანიზებულ ტრენინგებს.

ექსპერტმა ნანა ბარნაბიშვილმა მანანა ყაველაშვილთან დაკავშირებით განმარტა, რომ მას არ ჰქონდა სერთიფიკატი, პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსი არ ნიშნავდა კვალიფიკაციის დადასტურებას.

თავმჯდომარე დაინტერესდა თუ რა ტრენინგი ჩაუტარდა სკოლის პერსონალს ბოლოს ილიას უნივერსიტეტთან თანამშრომლობის შედეგად.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ არ ახსოვდათ ზეპირად ვინაიდან ტრენინგს ესწრებოდა სხვა თანამშრომელი. ადმინისტრაციას ასევე შემუშავებული ჰქონდა ხელშეკრულების ახალი ფორმა.

საკითხის განხილვის მიზნით სხდომაზე 18:48 საათზე გამოცხადდა შესვენება.
სხდომა განახლდა 19:00 საათზე.

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საბჭო გაეცნო დაწესებულების მიერ დამატებით წარმოდგენილ წერილობით პასუხებს, ფიქსირდებოდა საკმაოდ ბევრი ხარვეზი პროგრამულ ნაწილში და ზოგადად სამივე სტანდარტთან მიმართებაში, საგანგაშო იყო ვიზიტის პერიოდში დაფიქსირებული გარემოება პერსონალთან ხელშეკრულებების მიმდინარე რეჟიმში არარსებობის თაობაზე. დაწესებულებას პირველ სექტემბრამდე ჰქონდა მობილობის ვადა რათა თავიანთი მოსწავლეები გადაემისამართებინათ სხვა სკოლებში, ხოლო თუ იმუშავებდნენ ხარვეზების გამოსწორებაზე მომდევნო წელს შეძლებდნენ ხელახლა გაეარათ ავტორიზაცია.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ექსპერტებმა არ აღწერეს ის დადებითი მხარეები რაც ნახეს, ყურადღებას ამახვილებდნენ მხოლოდ იმაზე რაც ვერ ნახეს, ასეთი განწყობა ჰქონდათ მათ სამი დღის განმავლობაში, ჰქონდათ ჩასაფრებული პოზიცია ცინიკური დამოკიდებულებით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ნუნუ ავაგუმაშვილისათვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 1

წინააღმდეგი - 4

გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა გიორგი გიგიბერიამ.

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს ნუნუ ავაგუმაშვილს (ს/კ: 200011012) უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

7. შპს არასახელმწიფო საერო ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა მერმისის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისათვის როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინეს ნინო ბალანჩივაძემ და ნინო ვარდოსანიძემ.

ექსპერტმა განაცხადა, რომ მნიშვნელოვანი ხარვეზი არ ფიქსირდებოდა, ერთადერთი საგულისხმო გახლდათ ის რაც ყველა სკოლისათვის იყო დამახასიათებელი, შემაჯამებელი დავალებებს და მის ანალიზს და კლასიდან კლასში გადასაყვან წლიურ გამოცდებს, თუმცა აღნიშნული ხარვეზები ვიზიტის პერიოდშივე იქნა აღმოფხვრილი 2016-2017 წლის სასწავლო წლის სასწავლო გეგმაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად.

ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლას ჰქონდა 17 საკლასო ოთახი, ფლობდა 337 ინდივიდუალურ მერხს და 343 სკამს, შესაბამისად სკოლა მზად იყო სწავლება განახორციელებინა 300 ბავშვთან.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს არასახელმწიფო საერო ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა მერმისის ავტორიზაციის მინიჭების და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 300-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს არასახელმწიფო საერო ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა მერმისის (ს/კ: 203840246) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 300-ით.

8. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა მიტროპოლიტ ნაზარი ლეჟავას სახელობის სამტრედიის მართლმადიდებლური სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისათვის როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინეს მაკა ტუკვაძემ და იანინა გიგიბერიამ.

ექსპერტმა მაკა ტუკვაძემ განაცხადა, რომ დასკვნაში ხარვეზები არ ფიქსირდებოდა, სკოლა აკმაყოფილებდა სამივე სტანდარტს, დამატებითი მომსახურების სახით სკოლაში ისწავლებოდა საღვთო საგნები, სკოლაში არის უფასო წრეები, განსაკუთრებით გამოირჩეოდა ფიტო ლაბორატორია სადაც მიმდინარეობს სამკურნალო მცენარეების შეგროვება, ჰქონდათ ჰერბარიუმები, სწავლებას ახორციელებდა ბიოლოგიის მასწავლებელი. ერთადერთი ხარვეზი რაც ადგილზე იყო გამოსწორებული გახლდათ ის, რომ გოგონების სველი წერტილი იყო ეზოში, იგი არ ჩანდა ვიდეოკამერით, კამერა ვიზიტის პერიოდში იქნა შეძენილი და დამონტაჟებული. სკოლამ გამოთქვა მზაობა მომავალი სასწავლო წლიდან სველი წერტილები გადაეტანა შენობაში, ასევე იგეგმებოდა დაწყებითი კლასებისათვის ცალკე შენობის აშენება. სკოლაში სწავლება ხორციელდებოდა უფასოდ.

თავმჯდომარე დაინტერესდა რა რაოდენობის კონტიგენტს ითხოვდა დაწესებულება.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სურდათ 260 მოსწავლის რაოდენობის განსაზღვრა.

ექსპერტმა განაცხადა, რომ მატერიალური რესურსიდან გამომდინარე სკოლას თავისუფლად შეეძლო მიეღო 262 ბავშვი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა მიტროპოლიტ ნაზარი ლეჟავას სახელობის სამტრედიის მართლმადიდებლური სკოლის ავტორიზაციის მინიჭების და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 262-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა მიტროპოლიტ ნაზარი ლეჟავას სახელობის სამტრედიის მართლმადიდებლური სკოლას (ს/კ: 238775857) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 262-ით.

9. შპს მეგასკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისათვის როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინეს ნანა ბარნაბიშვილმა და ნატო გაბოშვილმა.

ექსპერტმა ნანა ბარნაბიშვილმა განაცხადა, რომ სკოლა ახლა ფუძნდებოდა, სკოლაში მიმდინარეობდა რემონტი, მერხები ჯერ არ იყო განლაგებული თუმცა დაწესებულებამ წარმოადგინა შესყიდვის აქტები და გადახდის ქვითრები. პროგრამულ ნაწილში ხარვეზი არ ფიქსირდებოდა, სურდათ დაწყებითი საფეხურის განხორციელება, კონტიგენტი სკოლას ჯერ არ ჰყავდა, ჰქონდათ საბავშვო ბაღის სამი ფილიალი სხვადასხვა მისამართზე, სწორად ბაღის ბავშვებს მოიაზრებდნენ თავიანთ მოსწავლეებად პირველ რიგში. იჯარის ხელშეკრულება დადებული იყო სამი წლით თუმცა სამომავლოდ გეგმავდნენ 6 წლიანი ხელშეკრულების გაფორმებას.

წარმომადგენელმა საბჭოს წარმოდგინა გადახდის ქვითრები, შესყიდვის აქტები მათ შორის ვიდეოკამერების და ფოტომასალა თუ რა გაკეთდა სკოლაში ექსპერტთა ვიზიტის შემდგომ. ასევე წარმოდგენილი იქნა დოკუმენტი შინაგანაწესში პედაგოგთა მიღების წესთან დაკავშირებით ექსპერტთა რეკომენდაციის შედეგად განხორციელებული ცვლილებების შესახებ.

ექსპერტმა განაცხადა, რომ ადგილზე ზუსტად ვერ მოხერხდა ადგილების განსაზღვრა თუმცა წარმოდგენილი მასალებიდან გამომდინარე გონივრული იქნებოდა კონტიგენტის განსაზღვრა 120 მოსწავლით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს მეგასკოლის ავტორიზაციის მინიჭების და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 120-ით განსაზღვრის საკითხი.

თავმჯდომარემ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს ავტორიზაციის მიღებიდან ერთი თვის ვადაში განხორციელებულიყო მონიტორინგი შესრულებული სამუშაოების გადამოწმების მიზნით.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს მეგასკოლას (ს/კ: 445484146) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 120-ით.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ. სხდომა დასრულდა 19:45 საათზე.

თავმჯდომარე

ირინა ხანთაძე



მდივანი

თამარ ფხალაძე

